დანართი #1

დამტკიცებულია
ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის”
დირექტორის
2021წლის 07სექტემბრის N 2-24 ბრძანებით

დირექტორი : /თ.ქარჩავა/

ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი „ეტალონი“

უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულება

ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონში» უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა დებულება

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონში» უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ისტრუქცია (შემდგომში ინსტრუქცია) ითვალისწინებს, ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონში» უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომლის გატარებაც სკოლაში სავალდებულოა:

1. ადამიანების გადამდები დაავადებების;
2. საგანგებო სიტუაციების;
3. ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების ხელყოფის;
4. ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადამიანების გადამდები დაავადებები-ეგზოტიკური და განსაკუთრებით საშიში ინფექციების ერთეული შემთხვევები, საშიში ინფექციების ჯგუფური შემთხვევები, საშიში ინფექციების ეპიდემიური აფეთქებები, ეპიდემიები, პანდემიები, ადამიანების საშიში ინფექციები დაუდგენელი ეტიოლოგიით;

ბ) განსაკუთრებით საშიში ინფექციები-პათოგენური ბიოლოგიური აგენტებით გამოწვეული დაავადებები, რომლებიც განსაკუთრებულ რისკს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას;

გ) ეპიდემია-მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფში ან განსაზღვრულ ტერიტორიაზე დროის გარკვეულ პერიოდში დაავადების შემთხვევების ზრდა ფონურ დონესთან შედარებით;

დ) ეპიდემიური აფეთქება-მოსახლეობის შეზღუდულ რაოდენობაში გადამდები დაავადებების ახალი შემთხვევების სიხშირის მკვეთრი ზრდა ხანმოკლე პერიოდში;

ე) პანდემია-გადამდები დაავადებების უჩვეულოდ ფართო გავრცელება;

ვ) საგანგებო სიტუაცია-ობიექტზე, გარკვეულ ტერიტორიაზე ან აკვატორიაში ბუნებრივი მოვლენების, სტიქიური უბედურების, ხანძრის, ავარიის, კატასტროფის ან სხვა სახის უბედურებების, აგრეთვე საბრძოლო საშუალებათა გამოყენების შედეგად წარმოქმნილი სიტუაცია, როდესაც ირღვევა ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები, საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ზარალდება მოსახლეობა და ზიანდება ბუნებრივი გარემო.

მუხლი 3. ადამიანების გადამდები დაავადებების დროს ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონის» მიერ გასატარებელი ღონისძიებები

3.1. ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონის» დირექტორი დაწესებულებაში გადამდები დაავადებების შემთხვევების გამოვლინებისას ვალდებულია, „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის #101/ნ

ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად, უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება და დაუკავშირდეს

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს;

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს;

გ) ადამიანის გადამდები დაავადებით დაინფიცირებული მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს;

დ) ადამიანის გადამდები დაავადებით დაინფიცირებული მასწავლებლის ან სკოლის თანამშრომლის ოჯახის წევრებს.

3.2. დაინფიცირებული პირის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანამდე სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს მის იზოლირებულად განთავსებას.

3.3. ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონის» დირექტორი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ადგილობრივი სამსახურის დასკვნის საფუძველზე მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ და უზრუნველყოფს სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებას.

მუხლი 4. საგანგებო სიტუაციების დროს ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონის» მიერ გასატარებელი ღონისძიებები

4.1. წყალდიდობისა და ღვარცოფის დროს ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონის» დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) მოსწავლეების, მასწავლებლების და დაწესებულებაში მყოფი სხვა პირების შენობიდან გამოყვანა და მათი უსრთხო ადგილზე განთავსება შესაძლებლობის ფარგლებში;

ბ) იმ პირთა აღწერა, რომლებიც ევაკუირებულნი იქნენ სკოლის შენობიდან;

გ) გაზის, ელექტრო ხელსაწყოების, წყალსადენის ქსელიდან გათიშვა;

დ) შენობაში არსებული დოკუმენტაციის, კომპიუტერული ტექნიკის და სხვა ინვენტარის შეძლებისდაგვარად შენობის მაღალ სართულზე განთავსება;

ე) დაშავებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

4.2. ქარიშხლის შესახებ გაფრთხილების მიღებისას ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონის» დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) გაზის, ელექტრო ხელსაწყოების, წყალსადენის ქსელიდან გათიშვა;

ბ) მოსწავლეების, მასწავლებლების და დაწესებულებაში მყოფი სხვა პირების შენობიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილზე განთავსება;

გ) იმ პირთა აღწერა, რომლებიც ევაკუირებულნი იქნენ სკოლის შენობიდან;

დ) ევაკუაციის დროს დოკუმენტაციის, კომპიუტერული ტექნიკის და სხვა ინვენტარის შეძლებისდაგვარად უსაფრთხო ადგილზე განთავსება;

ე) დაშავებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

4.3. ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონის» დირექტორი ხანძრის შემთხვევაში ვალდებულია:

ა) ხანძრის შესახებ დაუყონებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მისვლამდე შეძლებისდაგვარად მიიღოს ზომები ადამიანების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, სკოლაის ქონების გადასარჩენად, ხანძრის ჩასაქრობად;

გ) ხელი შეუწყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს ხანძრის ჩაქრობაში, მისი გაჩენის, გავრცელების მიზეზებისა და პირობების დადგენაში, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების დამრღვევ და ხანძრის გაჩენაში დამნაშავე პირთა

გამოვლენაში;

დ) სკოლის ტერიტორიაზე ხანძრის ჩაქრობისას გამოყოს აუცილებელი ძალები და საშუალებები შესაძლებლობის ფარგლებში;

ე) უზრუნველყოს მოსწავლეების, მასწავლებლების და დაწესებულებაში მყოფი სხვა პირების შენობიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილზე განთავსება;

ვ) მოახდინოს იმ პირთა აღწერა, რომლებიც ევაკუირებულნი იქნენ სკოლის შენობიდან;

ზ) უზრუნველყოს ევაკუაციის დროს დოკუმენტაციის, კომპიუტერული ტექნიკის და სხვა ინვენტარის შეძლებისდაგვარად უსაფრთხო ადგილზე განთავსება;

თ) უზრუნველყოს დაშავებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

4.4. სკოლის დირექტორი ვალდებულია საგანგებო სიტუაციების შესახებ დაუყონებლივრ შეატყობინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს;

4.5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე სკოლის დირექტორი მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ.

მუხლი 5 . ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საკუთრების ხელყოფის დროს ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონის» მიერ გასატარებელი ღონისძიებები

5.1 ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონში» ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფისას სკოლის დირექტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს და მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურს;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს;

დ) დაზარალებული მოსწავლის მშობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს;

ე) დაზარალებული მასწავლებლის /სკოლის თანამშრომლის ოჯახის წევრებს.

5.2. ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონში» საკუთრების ხელყოფის ფაქტის გამოვლენისას დაწესებულების დირექტორი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს და მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს;

მუხლი 6. ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს **ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონის»** ***მიერ გასატარებელი ღონისძიებები***

6.1. ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების დროს სკოლის დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) მოსწავლეების, მასწავლებლების და დაწესებულებაში მყოფი სხვა პირების შენობიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილზე განთავსება;

ბ) იმ პირთა აღწერა, რომლებიც ევაკუირებულნი იქნენ სკოლის შენობიდან;

გ) პოლიციის ადგილობრივ განყოფილებასთან დაკავშირება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინფორმირება.

მუხლი 7. გარდამავალი დებულებები

7.1. წინამდებარე დებულება შესაძლებელის შეიცვალოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობათა ცვლილების შესაბამისად;

7.2. ა(ა)იპ სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ «ეტალონში» ადამიანების გადამდები დაავადებების, საგანგებო სიტუაციების, ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფისას, ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენისას ან დაწესებულებაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შემოსული ანონიმური ზარების შემთხვევაში წინამდებარე დებულების შესრულებაზე პასუხისმგებელია ამავე სკოლის დირექტორი.